

№ 4

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის**

2020 წელი, 30 მარტი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ე.გორდელაძე - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ვ.ბერიძე, გ.კილაძე,
ბ.დოლიძე, გ.ჩაგანავა, ვ.ჩხაიძე, ვ.ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგში შეტანილ პირველ-მეორე საკითხზე განაცხადა, რომ ისინი გამომდინარეობენ კანონმდებლობაში შეტანილი

ცვლილებიდან, კერძოდ მუნიციპალიტეტების მერების წარმომადგენლები და მათი თანაშემწეები გადავიდნენ ხელშეკრულებით მუშაობაზე. მანვე გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების, სამუშაო ჯგუფების ონლაინ რეჟიმში მუშაობის უფლებამოსილების მინიჭებას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკრებულოში შემოვიდა საინიციატივო ჯგუფის წერილობითი მოთხოვნა საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირებისა და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საერთო კრების (როგორც მოსახლეობის თვითორგანიზებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას) განიხილავს მხოლოდ იმ დასახლებაში, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება(მუხლი 85² პუნქტი 4), 2000 -ზე მეტ რეგისტრირებულ ამომრჩევლიანი დასახლებები, საერთო კრებების შექმნისა და საქმიანობის ნაწილში ფაქტიურად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღმა დარჩენილი, ამავე დროს კოდექსი საკრებულოს ანიჭებს უფლებამოსილებას, თავად, საკუთარი დადგენილებით განსაზღვროს ამ დასახლებებში საერთო კრებების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი, აგრეთვე მათში შექმნას რამდენიმე საერთო კრება(მუხლი 85², პუნქტი 6). ყოველივე ეს იძლევა საშუალებას მუნიციპალიტეტმა გაამარტივოს საერთო კრებების შექმნისა და საქმიანობის წესი, მათ შორის საინიციატივო ჯგუფის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მხარდამჭერი რეგისტრირებულ მამომრჩეველთა 5% ხელმომწერების შეგროვების ვალდებულების ან და-საერთო კრების ლეგიტიმიურად ცნობისათვის საჭირო წევრთა რაოდენობის მინიმუმ 20% -იანი ბარიერის პროცენტული მაჩვენებლის შემცირებით, აგრეთვე ამ დასახლებაში საერთო კრების შექმნის პრაქტიკული შესაძლებლობის გაჩენით. ზემოთაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებმა-საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირმა და გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა მოამზადა დადგენილების პროექტი, რომელსაც ახლავს ახსნა-განმარტებითი ბარათი და მოითხოვენ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. კომისიამ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა და მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნებისა პროექტი სარეკომენდაციოდ და სამართლებრივი კონსულტაციისათვის გაგზავნილი იქნა მთავრობის იურიდიულ დეპარტამენტში. საიდანაც ჩამოვიდა უარყოფითი დასკვნა. კომისია გადაუგზავნის დასკვნას ინიციატორებს და ამასთან ერთად, სურვილის შემთხვევაში, განაგრძნობს პროექტზე მათთან ერთად მუშაობას. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგში არსებული პირველი სამი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N1, 2, 3 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. N4 საკითხზე მთავრობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა გადაეგზავნოს პროექტის ინიციატორებს.

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე
სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

